



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N4

ქ. ლანჩხუთი

28. 02. 2019 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კარლო კვიციანი, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბუკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპაძაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერის მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ იმედაიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი. მან მოუწოდა საკრებულოს წევრებს აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

2. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თ. იმედაიშვილი/

4. სხვადასხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს სხდომის დაწყებამდე საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვამემ** მიულოცა ვლადიმერ აფხაზავას 2019 წლის მასწავლებლის გლობალური ჯიღოს ფინალის ათეულში მოხვედრა და უსურვა შემდგომი წარმატება.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება არის რედაქციული ხასიათის.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N5 (28.02.2019)

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი **აკაკი იმნაიშვილი**.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი

განაკვეთებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილება.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთი უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად:

მუხლი 1.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

- ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3-ჯერ;
- ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2 - ჯერ;
- გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე - 1,5 - ჯერ;
- დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3 -ჯერ.

მუხლი 2.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 31 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველ მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექმნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის განმარტებით, მე-3 მუხლში იყო ტექნიკური შეცდომა: 2 %-ის ნაცვლად უნდა ეწეროს 0,2 %.

მუხლი 3.

ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

- ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2 პროცენტი.
- ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1.0 პროცენტი.

მუხლი 4.

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

- 1) სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული) 20.00 ლა□□;
- 2) სამოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული) 16.00 ლარი;
- 3) სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე,) 73.00 ლარი;
- 4) საკარმიდამო 73.00 ლარი;
- 5) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისათვის:
 - ა) სათიბი 20.00 ლარი;
 - ბ) სამოვარი 16.00 ლარი;
 - გ) სახნავი 73.00 ლარი;

მუხლი 5.

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის (შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე 3 ლარით.

მუხლი 6.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე გადასახადის წლიური განაკვეთები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგი ოდენობით ლარებში:

- 1) ქ. ლანჩხუთი - 0,24 ლარი;
- 2) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში - 0,216 ლარი;

მუხლი 7.

- 1) ქონების გადასახადისაგან განთავისუფლდეს:
 - ა) საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 600 კვ.მ-ს.
 - ბ) ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვ.მ-ს.
- 2) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გარდა, ქონების გადასახადისგან გათავისუფლებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი.
- 3) ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N (28.02.2019)

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **თამაზ იმედაიშვილმა**. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N45 განკარგულებაში 2019 წლის 08 თებერვლის N2089 განკარგულებით შესული ცვლილების შედეგად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 374000 ლარი და სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება განისაზღვრა 748000 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში 2019 წლის 12 თებერვლის N214 განკარგულებით შესული ცვლილებების შედეგად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის 155738 ლარი, თანადაფინანსების სახით უნდა მიიმართოს 8197 ლარი, სულ საპროექტო ღირებულება 163935 ლარი.

მუნიციპალიტეტის გრიგოლეთის საფეხბურთო ბაზის ადმინისტრატორის წერილის განხილვის შედეგად მიზანშეწოლილად ჩაითვალა გრიგოლეთის საფეხბურთო ბაზის მომსახურების ღონისძიებებზე გამოიყოს 10100 ლარი, დაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწოლილად ჩაითვალა დამონტაჟებული იქნას ინდივიდუალური პროექტირების ფარის ვიდეო კონტროლის 21 ცალის 3402 ლარი, ინდივიდუალური პროექტირების ფარის ვიდეო კონტროლის 4 ცალი 1352 ლარი, სულ 4760 ლარი. დაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **თამაზ იმედაიშვილმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით უნდა დაიწყოს ბიუჯეტში ცვლილებაზე ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ თავისუფალი ნაშთი ამ დროისთვის ბიუჯეტში უნდა ყოფილიყო ასახული, რადგან ბიუჯეტი დეკემბერში იქნა მიღებული და მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **თამაზ იმედაიშვილმა** განმარტა, რომ ეს ნაშთი ეტაპობრივად აისახება მიმდინარე წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე** შემოვიდა წინადადებით, რომ საჭიროა ბიუჯეტში დროულად აისახოს საპროექტო თანხები, რადგან შემდგომში ხელი არ შეემალოს სტიქიასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თხოვნით მიმართა რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რათა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოუყონ 300 000 ლარი საპროექტო წინადადებების დამუშავების მიზნით, რადგან მათი მომზადება საკმაო თანხებთან არის დაკავშირებული. 2018 წლის ბოლოს გადმოირიცხა 300 000 ლარი, რომელიც გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტში იმ დროისთვის სტიქიით მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ ეტაპზეც მიმდინარეობს მოლაპარაკება რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან დაახლოებით 300 000 ლარის ოდენობით თანხის გადმორიცხვაზე. მათი მხრიდან არის მზაობა, რომ მუნიციპალიტეტს ამ კუთხით გაუწიონ დახმარება.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **კახა ბოლქვაძემ** დააყენა ორი საკითხი:

1. ქალაქის ცენტრში გარე-ვაჭრობის მოგვარების საკითხი.
2. ჰემოდიალეზით მკურნალობის საჭიროების მქონე ბენეფიციართა საკითხი.

ქალაქის ცენტრში გარე-ვაჭრობის მოგვარების საკითხთან დაკავშირებით მან გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, თუ გარე მოვაჭრეები განთავსდებიან პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კერძო ბაზარში, რომლის ფართის მხოლოდ 20% ათვისებულია და მათ უნდა დაეკისროთ მინიმალური გადასახადი. ამ საკითხის მოგვარება ერთის მხრივ გამოიწვევს როგორც ბაზრის მფლობელისთვის შემოსავლის, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გაზრდას და თავიდან იქნება აცილებული ის ანტისანიტარია, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიებზე სუფევს. ამასთან, საჭიროა გარე მოვაჭრეებთან დაკავშირებით ამოქმედდეს წინასწარ შემუშავებული გარკვეული სანქციები.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ აუცილებელია იმსჯელონ აღნიშნული სანქციების შესამუშავებლად.

შ საკრებულოს წევრმა **კახა ბოლქვაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა ასევე იმის გამო, რომ ჰემოდიალეზით მკურნალობის საჭიროების მქონე ბენეფიციართათვის

მუნიციპალიტეტში არ არის სტაციონარი. მისი თქმით, ამ საკითხის მოსაგვარებლად, საჭიროა კონსულტაციების გავლა მედიცინის მუშაკებთან, შესაბამისი კადრების გადამზადება და ა.შ.

საკრებულოს წევრმა **რევაზ კვერენჩილაძემ** განმარტა, რომ შესაბამისი კადრების გადამზადებას დასჭირდება მინიმუმ სამი წელი და საკმაო რაოდენობის თანხა, რადგანაც რეზიდენტურაში სწავლება ფასიანია. ასევე დიდი რაოდენობით თანხებია საჭირო სტაციონარის შესაბამისი ინვენტარით აღსაჭურვად.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მას ქონდა კონსულტაციები შესაბამის სპეციალისტებთან და შეჯერდნენ იმაზე, რომ პირველ ეტაპზე საჭიროა ინვენტარის შეძენა, სპეციალისტის(ნეფროლოგის) მოწვევა, მაგრამ ამ სპეციალისტისათვის შრომის ანაზღაურების თანხას ბიუჯეტიდან ვერ გადაიხდიან.

საკრებულოს წევრმა **აკაკი იმნაიშვილმა** დააყენა საკითხი ავტომობილებისათვის ქალაქის ცენტრში საპარკინგე ადგილების გამოყოფასთან დაკავშირებით. მისი თქმით, არასწორად გაჩერებული ავტომობილები აფერხებენ მოძრაობას.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ პოლიციის უფროსთან ერთად იმყოფებოდა აღნიშნული ტერიტორიის დასათვალიერებლად და აღმოჩნდა, რომ იქ დგას შესაბამისი საგზაო ნიშანი, რომელიც კრძალავს სატრანსპორტო საშუალების დგომა-გაჩერებას.

საკრებულოს წევრმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ საგზაო ნიშნის მხოლოდ ერთ ადგილზე დაყენება არ არის საკმარისი.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ამ საკითხს წყვეტს საგზაო დეპარტამენტი.

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლში წერია, რომ თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ როგორ მოხდეს აღნიშნულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება და მომზადდეს შესაბამისი პროექტი.

საკრებულოს წევრმა **აკაკი იმნაიშვილმა** ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომაზე რამდენჯერმე დააყენა საკითხი.კერძოდ, ის ითხოვს შუბუთის მოსახლეობის საყანე ფართობებთან დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაციას, რომელიც ავტობანის მშენებლობის დროს დაზიანდა, მაგრამ ამ საკითხზე რეაგირება დღემდე არ ყოფილა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს რეგიონალური განვითარების ფონდის პროგრამის ფარგლებში. ამისათვის საჭიროა შუხუთის მოსახლეობამ დაასახელოს პრიორიტეტად ხიდის გაკეთება და გამოყოფილი თანხებიც შესაბამისად მიიმართება. იმ შემთხვევაში თუ გამოყოფილი ფინანსები არ იქნება საკმარისი, ამ პრობლემის მოგვარებაში მათ დაეხმარება ადგილობრივი ხელისუფლება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- მწვანეები“ს თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ხიდის პრობლემის მოგვარება დადებითად აისახება ნიგოთის მოსახლეობაზეც, რადგან ამ ხიდის არ ქონის გამო შუხუთის მოსახლეობა ვერ ამუშავებს საყანე ფართობს და ტერიტორიაზე გაშვებულია საქონელი, რომელიც გადადის ნიგოთის საყანე ფართობებში და ანადგურებს სიმინდის მოსავალს. ის ასევე უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე სკვერში ფილაქნები არ არის დაგებული ხარისხიანად და წვიმის დროს დგება გუბეები. მისი თქმით ეს პრობლემა დროულად უნდა იქნეს მოგვარებული შესაბამისი სამსახურის მიერ.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვამემ** გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ მერიის სოციალური სამსახურის ოთახს სასწრაფოდ ესაჭიროება რემონტი, რადგან გარდა იმისა, რომ ოთახი უკიდურესად ნესტიანია, ასევე ბინადრობენ მღრღნელებიც. აღნიშნული მდგომარეობა უარყოფითად აისახება როგორც იქ მომუშავე ადამიანების ჯამრთელობაზე, ასევე იმ ადამიანებზეც, ვინც ამ სამსახურში მიდის სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ **ბესიკ კუპრაძემ** მაძლობა გადაუხადა ხელისუფლებას იმასთან დაკავშირებით, რომ უმოკლეს ვადაში მოახდინეს რეაგირება ნოემბრის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად. მან აქვე აღნიშნა, რომ სექტემბრის თვეში სტიქიის შდეგად დაზარალებულ მოსახლეობასაც, რომლებმაც დროულად ვერ მიმართეს შესაბამის სამსახურებს, ესაჭიროებათ დახმარება.

საკრებულოს წევრი **ცისანა ურუშაძე** დაეთანხმა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- მწვანეები“ს თავმჯდომარეს, რომ მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე სკვერი ნამდვილად საჭიროებს რეაბილიტაციას, მაგრამ მისი თქმით არანაკლებ მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული შენობის უკან მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება. იმის გამო, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებულია სოციალური სამსახური, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი, დასუფთავების სამსახური, საოლქო საარჩევნო კომისია, გადაადგილდება უამრავი ადამიანი, როგორც ქვეითად ასევე ავტომობილით. შესაბამისად, საჭიროა ამ სამსახურებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა განმარტა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ბიუჯეტში არის თანხები. მარტის თვეში გაკეთდება პროექტი, ამინდებიც გაუმჯობესდება და დაიწყება როგორც ამ ტერიტორიის, ასევე თავისუფლებისა და თბილისის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

